



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი

19 ნოემბერი 2014 წელი

დადგენილება №43

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს №3 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს N3 დადგენილებაში (ვებგვერდი,15/08/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი190020020.35.113.016161)და იგი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

2. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ბალანსი 1-ლი მუხლის თანახმად;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად.

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მე-4 მუხლის თანახმად;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მე-10 მუხლის თანახმად;

კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მე-11 მუხლის თანახმად;

ლ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-12 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მე-13 მუხლის შესაბამისად,

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მე-14 მუხლის თანახმად;

გ) განათლება მე-15 მუხლის თანახმად;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის კულტურა, რელიგია და ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები მე-16 მუხლის თანახმად;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-17 მუხლის თანახმად;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მე-18 მუხლის თანახმად;

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება განხორციელდეს 2014 წლის 10 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

თავი I
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	0,0	0,0	0,0	0,0	14101,4	8849,4	5252,0
გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	1424,8	0,0	1424,8
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	11814,3	8849,4	2964,9
სხვა შემოსავლები	0,0	0,0	0,0	0,0	862,3	0,0	862,3
ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	13912,1	8345,1	5567,0
შრომის ანაზღაურება	0,0	0,0	0,0	0,0	1508,7	0,0	1508,7
საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	8178,6	6747,6	1431,0
სუბსიდიები	0,0	0,0	0,0	0,0	1983,7	0,0	1983,7
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0	1989,6	1362,0	627,6
სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	251,5	235,5	16,0
საოპერაციო სალდო	0,0	0,0	0,0	0,0	189,3	504,3	-315,0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	5263,8	5304,6	-40,8
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	5393,2	5304,6	88,6
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	129,4	0,0	129,4
მთლიანი სალდო	0,0	0,0	0,0	0,0	-5074,5	-4800,3	-274,2
ფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	-5074,5	-4800,3	-274,2
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	5074,5	4800,3	274,2
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	5074,5	4800,3	274,2
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	0	0	0	0	14230,8	8849,4	5381,4
შემოსავლები	0	0	0	0,0	14101,4	8849,4	5252
ფინანსური აქტივების კლება	0	0,0	0,0	0,0	129,4	0,0	129,4
გადასახდელები	0	0	0	0	19305,3	13649,7	5655,6
ხარჯები	0	0	0	0	13912,1	8345,1	5567
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	5393,2	5304,6	88,6
ნაშთის ცვლილება	0	0	0	0	-5074,5	-4800,3	-274,2

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 14101,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	0,0	0,0	0,0	0,0	14101,4	8849,4	5252
გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	1424,8	0,0	1424,8
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	11814,3	8849,4	2964,9
სხვა შემოსავლები	0,0	0,0	0,0	0,0	862,3	0	862,3

მუხლი 4. ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბიუჯეტის გადასახადები 1 424,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	1 424,8	0,0	1 424,8
ქონების გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	1 424,8	0,0	1 424,8
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0		0,0	712,5		712,5
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0	0,0	0,0	63,5	0,0	63,5
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	0,0	0,0	0,0	97,5	0,0	97,5
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	0,0	0,0	0,0	551,3	0,0	551,3
სხვა გადასახადები ქონებაზე	0	0	0	0	0		

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

განისახდვროს ბიუჯეტის გრანტები 11 814,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	0	0	0	0	11814,3	8849,4	2964,9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,0	0,0	0,0	0,0	11814,3	8849,4	2964,9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	0,0	0,0	0,0	0,0	2964,9	0	2964,9
გათანაბრებითი ტრანსფერი	0,0	0,0		0,0	2796,7		2796,7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0,0	0,0		0,0	168,2		168,2
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0,0	0,0	0,0	0,0	8849,4	8849,4	0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0	0,0	0,0		4205,3	4205,3	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	0,0		1347,7	1347,7	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები		0,0	0,0		3296,4	3296,4	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 862.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	0,0	0,0	0,0	0,0	862,3	0,0	862,3
შემოსავლები საკუთრებიდან	0,0	0,0	0,0	0,0	307,8	0,0	307,8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	0,0	0,0	0,0	0,0	303,5	0,0	303,5
ჯარიმები, სანქციები და საურავები	0,0	0,0	0,0	0,0	236,0		236,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0	0,0	0,0	0,0	15,0		15,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 13 912,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	13912,1	8345,1	5567,0
შრომის ანაზღაურება	0,0	0,0	0,0	0,0	1508,7	0,0	1508,7
საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	8178,6	6747,6	1431,0
სუბსიდიები	0,0	0,0	0,0	0,0	1983,7	0,0	1983,7
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0	1989,6	1362,0	627,6
სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	251,5	235,5	16,0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5 263.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

1. განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5 393.2 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 129.4 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	5263,8	5304,6	-40,8
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	5393,2	5304,6	88,6
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	129,4	0	129,4

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
			სულ	სულ
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	0,0	0,0	2 555,2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	0,0	0,0	2 519,2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	0,0	0,0	2 346,7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	172,5
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	36,0
702	თავდაცვა	0,0	0,0	111,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	38,1
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	38,1
704	ეკონომიკური საქმიანობა	0,0	0,0	10 919,8
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0	73,9
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	0,0	0,0	73,9
7045	ტრანსპორტი	0,0	0,0	102,7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	0,0	0,0	102,7
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0,0	0,0	10 743,2
705	გარემოს დაცვა	0,0	0,0	192,5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0,0	0,0	192,5
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0,0	0,0	2 229,4
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	185,4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	2 044,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	0,0	72,8

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
			სულ	სულ
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	0,0	0,0	72,8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	0,0	0,0	326,4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	0,0	0,0	37,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	0,0	0,0	257,4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0,0	0,0	32,0
709	განათლება	0,0	0,0	1 057,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	0,0	0,0	1 046,7
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	10,3
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	10,3
710	სოციალური დაცვა	0,0	0,0	1 803,1
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	187,5
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0,0	0,0	239,1
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0,0	0,0	1 376,5
	სულ	0,0	0,0	19 305,3

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 172,5 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების საფუძველზე რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობასა და მიზნობრიობის შესახებ.

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 168,2 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 61,8 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 111,0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 13. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
(პროგრამული კოდი 02 00)**

საკურორტო სეზონზე უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**13.1 საგანგებო სიტუაციების მართვა
(პროგრამული კოდი 02 01)**

დაბა ურეკის წყალმაშველთა ჯგუფი ემსახურება ურეკი შეკვეთილის ზღვის დამსვენებლების უსაფრთხო დასვენების პირობები. მაშველები თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებული ხვდებიან ზღვის სეზონს, წყალმაშველთა მოთხოვნების გათვალისწინებით აუცილებელია სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა.

**13.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა
(პროგრამული კოდი 02 03)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**მუხლი 14. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
(პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**14.1. გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა
(პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების, მოვლა-შენახვისა და ზამთრის პერიოდში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების ხარჯების დაფინანსება.

**14.1.1. მუნიციპალური ტრანსპორტი
(პროგრამული კოდი 03 02 02)**

პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.

**14.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა
(პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოები.

14.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

14.5 კომუნალური მომსახურების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა, მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა; მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამუშავება და გატანა. მცენარეთა შესყიდვა დარგვის თანმდევი მომსახურებით.

14.6 სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის მიზანია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ზრდა, არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების ეფექტური გამოყენება; სასოფლო სამეურნეო ტექნიკის სერვის-ცენტრებში ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტების მიერ ფერმერებისათვის სწავლების ჩატარება და საკონსულტაციო მომსახურება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე; სასათბურე მეურნეობების განვითარება სანერგე მეურნეობების შექმნა, მაღალ ხარისხიანი, ჯიშის ნერგების გამოყვანა არსებული ამორტიზირებული და არარენტაბელური ბაღების ჩასანაცვლებლად, ხილსაცავების მოწყობა მოსალოდნელი ეკონომიკური ზიანის მინიმიზირების უზრუნველყოფის მიზნით საკარანტინო მავნებლების გავრცელების წინააღმდეგ ღონისძიებების ჩატარება; ნიადაგის ნაყოფიერებების ამაღლების ღონისძიებები;

ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სოფლის მეურნეობის პროფილის შემდეგი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი;

მუხლი 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის გარეშე, შემოქმედებითი, ტექნიკური, ალტერნატიული და სხვა სახის დამატებითი განათლების მიღებას.

15.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა-ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. ასევე მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

15.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი, ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა.

მუხლი 16. კულტურა, რელიგია და ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრები სჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

16.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამი სფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, ასევე ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; ასევე განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზოებში.

16.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, ასევე ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

16.1.2. სპორტული ობიექტების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- შ.პ.ს. საცხენოსნო კლუბი „მარულა“;

16.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

16.2.1. კულტურის ღონისძიებების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალურისა ხვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. მათ შორის:

16.2.2 კულტურის ობიექტების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.(ა).ა.ი.პ კულტურის ცენტრი;
- ა.(ა).ა.ი.პ ცენტრალური ბიბლიოთეკა;
- ა.(ა).ა.ი.პ ურეკის კულტურის სახლი;
- ა.(ა).ა.ი.პ ისტორიული მუზეუმი;

16.1.3 ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა

(პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის ხელშეწყობი ღონისძიებების დაფინანსება.

16.1.4 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. გაგრძელდება თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მხარდაჭერა და წახალისება; თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ორგანიზება. მათ შორის:

16.1.5 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიამონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე დაფინანსდება სხვადასხვა რელიგიური ღონისძიებები.

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსებას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

17.1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

17.1.1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

17.2. სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფასა და სოციალური პროგრამების განხორციელებას.

17.2.1. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები იმ სოციალურდ შეჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახების (18 წლამდე 4 და მეტიშვილი) მრავალჯერადი (მათ შორის ყოველთვიური) ფინანსური დახმარება რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150.000-ს.

17.2.3. ვეტერანთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 04)

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

- 9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანზე გაიცემა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით.
- 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის დღეს, 100 ლარის დახმარება თითოეულ დაღუპულის ოჯახზე.
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეზრძოლთა ხსოვნის დღეს 27 სექტემბერს ერთჯერადი დახმარება თითოეულ ოჯახზე 100 ლარის ოდენობით.

17.2.3. ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 05)

პროგრამით გათვალისწინებულია ომის ვეტერანების სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება 250 ლარის ოდენობით თითოეულ შემთხვევაზე.

**17.2.5. შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 01 07)**

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ შეჭირვებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარების და მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას, რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენს 57000-150000-ს.

**17.2.6. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 01 08)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა (აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან) ერთჯერადი მატერიალური დახმარებებით უზრუნველყოფა.

- ზამთრისათვის საშეშე მერქნით დახმარების პროგრამა დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თითოეული ოჯახისთვის საშეშე მერქნის თანხის უზრუნველყოფით. თითოეული ოჯახზე 200 ლარის ოდენობით.
- დევნილთა სარიტუალო ხარჯები, დახმარების ოდენობა შეადგენს 200 ლარს ერთ ეულშ შემთხვევაზე
- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით

**17.2.7. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების
პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 01 09)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრები ოჯახების დახმარება.

**17.2.8. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 01 10)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეების დახმარება თითოეულზე 200 ლარის ოდენობით

**17.2.9. უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 01 11)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსინათლო ინვალიდების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით.

**17.2.11. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 01 13)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თირკმლის უკმარისობით დაავადებულ მოქალაქეთა დიალიზის მკურნალობის კურსის გასაველად ქბათუმსა და სხვა ქალაქებში მგზავრობის თანხით დაფინანსება. თითოეულზე ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით.

17.2.12. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 01 16)

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამითობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით

მუხლი 18. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელები:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები თანდართული რედაქციით:

org. kodi	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	0	0	0	0	19305,3	13649,7	5655,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0	157,0	0,0	157,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	13912,1	8345,1	5567,0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0	1508,7	0,0	1508,7
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	5393,2	5304,6	88,6
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	0	0	0	0	2555,2	0,0	2555,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0	151,0	0,0	151,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	2498,0	0,0	2498,0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0	1437,3	0,0	1437,3
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	57,2	0,0	57,2
01 01	ოზურგეთის საკრებულო	0	0	0	0	670,9	0,0	670,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0	31,0	0,0	31,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	665,9	0,0	665,9
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0	316,8	0,0	316,8
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	5,0	0,0	5,0
01 02	ოზურგეთის გამგეობა	0	0	0	0	1675,8	0,0	1675,8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0	120,0	0,0	120,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	1623,6	0,0	1623,6
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0	1120,5	0,0	1120,5

org. kod	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	52,2	0,0	52,2
01 03	სარეზერვო ფონდი	0	0	0	0	172,5	0,0	172,5
2.	ხარჯები	0	0	0	0	172,5	0,0	172,5
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0	0	0	0	36,0	0,0	36,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	36,0	0,0	36,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0	0	149,1	0,0	149,1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0	6,0	0,0	6,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	149,1	0,0	149,1
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0	71,4	0,0	71,4
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	0	0	0	0	38,1	0,0	38,1
2.	ხარჯები	0	0	0	0	38,1	0,0	38,1
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	0	0	0	0	111,0	0,0	111,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა		0			6,0		6,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	111,0	0,0	111,0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	0	0	0	71,4	0,0	71,4
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0	0	0	0	13341,7	12287,7	1054,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	8005,7	6983,1	1022,6
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	5336,0	5304,6	31,4
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	0	0	0	0	102,7	0,0	102,7
2.	ხარჯები	0	0	0	0	102,7	0,0	102,7
03 01 01	გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა	0	0	0	0	46,0	0,0	46,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	46,0	0,0	46,0

org. kodi	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 01 02	მუნიციპალური ტრანსპორტი	0	0	0	0	56,7	0,0	56,7
2.	ხარჯები	0	0	0	0	56,7	0,0	56,7
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0	0	0	0	7428,1	6913,9	514,2
2.	ხარჯები	0	0	0	0	3220,7	2737,9	482,8
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	4207,4	4176,0	31,4
03 02 01	დასუფთავების ღონისძიებები	0	0	0	0	192,5	0,0	192,5
2.	ხარჯები	0	0	0	0	192,5	0,0	192,5
03 02 03	კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები	0	0	0	0	185,4	0,0	185,4
2.	ხარჯები	0	0	0	0	185,4	0,0	185,4
03 02 05	ინფრასტრუქტურის სამუშაოები	0	0	0	0	7050,2	6913,9	136,3
2.	ხარჯები	0	0	0	0	2842,8	2737,9	104,9
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	4207,4	4176,0	31,4
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	0	0	0	0	1738,5	1618,5	120,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	609,9	489,9	120,0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	1128,6	1128,6	0,0
03 05	საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთადრიცხვო და ექსპერტიზის თანხა	0	0	0	0	305,5	235,5	70,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	305,5	235,5	70,0
03 06	სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დასაქმების პროგრამა	0	0	0	0	73,9	0,0	73,9
2.	ხარჯები	0	0	0	0	73,9	0,0	73,9
03 08	გარე განათება	0	0	0	0	173,2	0,0	173,2
2.	ხარჯები	0	0	0	0	173,2	0,0	173,2
03 09	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	0	0	0	0	3519,8	3519,8	0,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	3519,8	3519,8	0,0

org. kod	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
04 00	განათლება	0	0	0	0	1057,0	0,0	1057,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	1057,0	0,0	1057,0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	0	0	0	0	1046,7	0,0	1046,7
2.	ხარჯები	0	0	0	0	1046,7	0,0	1046,7
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0	0	0	0	10,3	0,0	10,3
2.	ხარჯები	0	0	0	0	10,3	0,0	10,3
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0	0	0	0	326,4	0,0	326,4
2.	ხარჯები	0	0	0	0	326,4	0,0	326,4
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	0	0	0	0	37,0	0,0	37,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	37,0	0,0	37,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	0	0	0	0	1,8	0,0	1,8
2.	ხარჯები	0	0	0	0	1,8	0,0	1,8
05 01 02	სპორტული ობიექტების დაფინანსება	0	0	0	0	35,2	0,0	35,2
2.	ხარჯები	0	0	0	0	35,2	0,0	35,2
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	0	0	0	0	257,4	0,0	257,4
2.	ხარჯები	0	0	0	0	257,4	0,0	257,4
05 02 01	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	0	0	0	0	58,0	0,0	58,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	58,0	0,0	58,0
05 02 02	კულტურის ობიექტების დაფინანსება	0	0	0	0	199,4	0,0	199,4
2.	ხარჯები	0	0	0	0	199,4	0,0	199,4
05 03	ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	0	0	0	0	4,0	0,0	4,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	4,0	0,0	4,0
05 04	ახალგაზრდული პროგრამები	0	0	0	0	13,0	0,0	13,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	13,0	0,0	13,0
05 05	ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა	0	0	0	0	15,0	0,0	15,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	15,0	0,0	15,0

org. kodi	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0	1875,9	1362,0	513,9
2.	ხარჯები	0	0	0	0	1875,9	1362,0	513,9
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	0	0	0	0	72,8	0,0	72,8
2.	ხარჯები	0	0	0	0	72,8	0,0	72,8
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	0	0	0	0	72,8	0,0	72,8
2.	ხარჯები	0	0	0	0	72,8	0,0	72,8
06 02	სოციალური პროგრამები	0	0	0	0	1803,1	1362,0	441,1
2.	ხარჯები	0	0	0	0	1803,1	1362,0	441,1
06 02 01	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა	0	0	0	0	103,4	0,0	103,4
2.	ხარჯები	0	0	0	0	103,4	0,0	103,4
06 02 04	ვეტერანთა დახმარების პროგრამა	0	0	0	0	10,5	0,0	10,5
2.	ხარჯები	0	0	0	0	10,5	0,0	10,5
06 02 05	ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	0	0	0	0	3,8	0,0	3,8
2.	ხარჯები	0	0	0	0	3,8	0,0	3,8
06 02 07	შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა	0	0	0	0	92,8	0,0	92,8
2.	ხარჯები	0	0	0	0	92,8	0,0	92,8
06 02 08	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	0	0	0	0	10,7	0,0	10,7
2.	ხარჯები	0	0	0	0	10,7	0,0	10,7
06 02 09	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამა	0	0	0	0	187,5	0,0	187,5
2.	ხარჯები	0	0	0	0	187,5	0,0	187,5
06 02 10	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	0	0	0	0	1,1	0,0	1,1
2.	ხარჯები	0	0	0	0	1,1	0,0	1,1
06 02 11	უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა	0	0	0	0	11,3	0,0	11,3
2.	ხარჯები	0	0	0	0	11,3	0,0	11,3

org. kodi	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 02 13	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა	0	0	0	0	18,9	0,0	18,9
2.	ხარჯები	0	0	0	0	18,9	0,0	18,9
06 02 16	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა	0	0	0	0	1,1	0,0	1,1
2.	ხარჯები	0	0	0	0	1,1	0,0	1,1
06 02 19	მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ღონისძიებები	0	0	0	0	1362,0	1362,0	0,0
2.	ხარჯები	0	0	0	0	1362,0	1362,0	0,0